ოქმი:**ო12. 3724108001**

თარიღი:**17/04/2024**

ოქმი N 6

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2024 წელი, 15 აპრილი
ქ.ოზურგეთი
14.00-15.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ქ. ხომერიკი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. ნადირაშვილი, ნ. ღაჟონია, ე. გორდელაძე, მ. ვაშალომიძე, დ. მდინარაძე, გ. სირაძე, ხ. თავდიშვილი, ხ. ცერცვაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა სოციალურ საკითხთა კომისიის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესახებ.

მომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში უსახლკარო პირების თავშესაფრით უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ.

მომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი
თანამომხსენებელი: მაიზერ ცელაძე

სხდომის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგის პირველი საკითხი, აღნიშნა, რომ კომისიამ წლის დასაწყისში შეიმუშავა და საკრებულოს ბიურომ დაამტკიცა წლიური სამუშაო გეგმა, მაგრამ აუცილებელი გახდა გეგმის ხელახალი გადამუშავება და ამოცანებისა და შესაბამისი აქტივობების უფრო დაწვრილებით განსაზღვრა, შემდეგ კომისიის წევრებს გააცნო კონკრეტული სამოქმედო გეგმა, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება მოხდა USID -ის მხარდაჭერითა და დახმარებით. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს სამოქმედო გეგმის ბიუროს სხდომაზე წარდგენას შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგის მეორე საკითხი, ვრცელი ინფორმაცია კომისიის წევრებს მიაწოდა თანამომხსენებელმა მ. ცელაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტისათვის კვლავ პრობლემატურია უსახლკაროთა თავსესაფრით უზრუნველყოფა, ამჟამად 8 უსახლკარო ელოდება საცხოვრისით დაკმაყოფილებას, მუნიციპალიტეტში არსებობს 2-სოციალური საცხოვრისი- ქ.

ოზურგეთში და მერიის ადმინისტრაციულ ერთეულში, მუნიციპალიტეტის მერიასთან შექმნილია სპეციალური კომისია, რომელიც ანხორციელებს მონიტორინგს. ხდება უსახლკაროთათვის ბინების დაქირავებაც, საცხოვრისებში არის ბინები, სადაც არ ცხოვრობენ, მაგრამ გამოსახლება პროცედურულად გართულებულია, ქ. ოზურგეთის საცხოვრისში მოსაწესრიგებელია კანალიზაცია, ხოლო მერიის საცხოვრისში შესაფუთია საწვიმარი მხარის კედელი. დაგეგმილია ღონისძიებები საცხოვრისში მცხოვრები ბავშვების კულტურულ ღონისძიებებში ჩართვისათვის და სხვა. კომისიის წევრმა დ. მდინარაძემ განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტმა უნდა იზრუნოს ქ. ოზურგეთში სტანდარტული, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენებაზე. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს ინფორმაციის ცნობად მიღებას. კომისია შესაბამის რეკომენდაციებს მიაწოდებს მუნიციპალიტეტის მერიას.

გადაწყვიტეს:

1. სხდომის დღის წესრიგში შეტანილი N 1 საკითხი წარდგენილ იქნას ბიუროს სხდომაზე შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

2.კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი N 2 საკითხი მიღებულ იქნას ცნობად.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი